



**№ 33**—1916 ტ ა ს ი  
 კვირა, 14 მარტამ. 12 კაპ

**წელ. მეოთხე**  
**გამოცემისა**

ქურონალი წლ. 5 მ.,  
 ნახ. წლ. 3 მ. მისა-  
 მართი: თბილისი,  
 „თეატრი და ცხოვ-  
 რება“ იოსებ იმე-  
 და შვილის.



ეკატერინე ივანე ფორაქაშვილის ასული  
 სარაჯიშვილისა (1861—1916)  
 (იხ. ამავე ნომერში წერილი „სამაგალითო აღამინა“)

**მარიამოპისთვის 14**

**დიდი საქმის** ჩვენს სათეატრო-სამწე-  
**საძირკველი.** რლო დარგში ახალი ხა-  
ნა იწყება ვასულ კვირას გარდაცვლილ ეკა-  
ტერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის უხვი  
შეწირულებით.

ერთბაშად ამოდენი თანხა დღემდე ჯერ  
ჩვენს თეატრს არ ღირსებია.

თბილისის ქართული დრამატიულ საზოგა-  
დობას პირველ ხანად ასი ათასი მანეთი და  
შემდეგ ორ მილიონიან თანხის მესამედი, ას-  
ნახევარი ათასი ქუთაისის თეატრის ასაშენე-  
ბლად, წერა-კითხვის საზ-ას ასი ათასი მან.  
და საეთნოგრაფიო საზოგადობას—პირველ ხა-  
ნად ოცდა ხუთი ათასი მან. შემდეგ ორ მილი-  
ონიან საქმის ნასამედი თითოეულს,—დიდაც  
დიდი და საფუძვლიანი შეწყობაა...

ასევე, უყურადღებოდ არაა დატოვებული  
არც ერთი ჩვენი ისეთი დაწესებულება, რო-  
მელსაც მიზნად საერო საქმის სამსახური აქვს  
დასახული...

მაგრამ... ნათქვამია: კარგს მთქმელს კა-  
რგი გამგონე უნდაო,—ამ შემთხვევაში  
კი არა თუ კარგი გამგონე—კარგი **გამკე-  
თებელიც** არის საჭირო.

ყველას მოეხსენება, განსვენებულნი და.  
ვით და ეკატერინე სარაჯიშვილნი, სხვათა  
შორის, რა საუცხოვო ხასიათ-თვისებით იყვენ

დაჯილდოვებულნი: თუ გასცემდნ რასმეს,  
ანუ ვისმეს შეეწოდენ იმ პირობით, რომ ხე-  
ლგამართული საქმე ანუ პირი უსათუოდ სა-  
ზოგადობას. ქვეყანას გამოსდგომოდა. შენა-  
წევარი უქმად არ გაფლანგულიყო.

განსვენებულთა ასე ი მიმართულება და  
ნაანდერძევის მაღალ-აზრიანობა, ჩვენი თეა-  
ტრის მესვეურთ ავალებს ამ თანხით სათეა-  
ტრო საქმეს ისეთი საძირკველი ჩაუგდონ,  
რომ თავნი ხელუხლები იყოს და ნათავნი-  
კა სათეატრო ხელოვნების აღყვავება-განვი-  
თარებას ხმარდებოდეს... აგრედვე წერა-კით-  
ხვის საზოგადობამ, დღემდე თუ უსახსრობით  
ვერ შეძლო, დღე-დან დღი ყურადღება უნ-  
და მიაქციოს სახალხო-სამეურნეო სკოლა-ა  
დაფუძნებას...

მაგრამ ყველა ამაზე არა ნაკლებ საზრუ-  
ნაფია თვით იმ დიდი სამრეწველო საქმის ბე-  
დი, რომლის საშუალებითაც ეგოდენი შემო-  
წირულება ერგო ქართველობას. ქართველ  
სოცდაგარ-ფულანდრებს ევალებათ ეს საქმე—  
„დ. ზ. სარაჯიშვილის“ წარმოება—არ ჩაშა-  
ლონ და კიდევ უფრო გაზარდონ.

მომავალი თაობის მადლობაც სწორედ  
იმთ ეკუთვნით, ვინც სარაჯიშვილთაგან და-  
ნატოვარ დიდ ქონებას ჩვენი დიდი საქმის  
საძირკველად გონივრულად გამოიყენებენ...

**ბადაცხოვრების**

# სამაგალითო ადამიანი



## ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა (1861—1916)

ჩვენი ერის აღორძინება-წინსვლის ისტორიას კიდევ ერთი შექმენი კაბადონი მიგვცა,—

ესაა ცხოვრება და ღვაწლი ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისა, რომელიც მარიამობისთვის 5 მოუღწეულად გარდაიცვალა მღვთოში, კავკავიდან თბილისისკენ მგზავრობის დროს.

დიდი, გარდაიცვალა დიდი ადამიანი, მაგრამ გაუმარჯოს ისეთს გარდაცვალებას, რომლის შემდეგაც იწყება ახალი, ბრწყინვალე ცხოვრება...

ბრწყინვალედ იცხოვრებს მოდგმათა ხსოვნაში და მარადის შუქს მოგვფენს ამ სამაგალითო ადამიანის ნაღვაწი.

**ვინ იყო იგი** და რითი დამსახურა საერო უკვდავება?

ეკატერინე დაიბადა 1861 წ. იანვრის 27, ქ. თბილისის საპატია მოქალაქის ივანე ფორაქაშვილის ოჯახში. მამა მისი ივანე დიდი მოიჯარდრე იყო, დედა—ნატალია იოსებ წილოსანის ასული, ძველებური ქართული ოჯახის შვილი. პატარა კატოს დროის კვალობაზე—საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიადებინეს: ზრდიდენ განთქმულ ფაფრის პანსიონში, უმეტესად კი ოჯახში საგანგებოდ

მოწვეულ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მასზე დიდი გავლენა ჰქონდა მამიდას—ნატალია სულხანიშვილისას, რომელიც ძველებური ქართული ოჯახის ალაღ-წესების მტკიცე დამცველი იყო და ქართული მწერლობის მკოდნეც. კატამ ზედმოწვევით იცოდა, ჩვეულებრივ საგანთა და სამშობლო ენის—ქართულის გარდა, უცხო ენებიც: ინგლისური, ფრანგული და გერმანული. იგი ბუნებით იყო სათნო, ღვთის მოსავი, ძველებურად ოჯახის დიდი მზრუნველი, შრომის მოყვარე, მუსიათი და ღმობიერი, მარად კეთილის მყოფელი ადამიანი, ამ სიტყვის უალრესი მნიშვნელობით. როგორც ღვთის მოსავი, მტკიცედ ასრულებდა სახარების სიტყვას: რასაცა ვასცემს მარჯვენე შენი მარცხენამ არა უწყოდესო. და რასაც ქველმოქმედებდა, ანუ ვისმეს ეხმარებოდა—იმ პირობით, რომ არვისთვის გაემხილათ. დიდი მოყვარული და მფარველი იყო მწერლობა-ხელოვნებისა და ეს თვისი ნაანდერძევითაც ნათელ ჰყო.

**როგორც მეუღლე**, სამ გალითოდ იყო მიჩნეული, როდესაც ქმარი შეერთო (დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი, ჯვარი დაიწერა 1880 წ. 22 ივნ. ბორჯომში, (სწორედ იმ დღეს, რადღესაც ქართ დრამ საზ. წესდება დამტკიცდა) მისიმარჯვენა ხელი და უმათვრესი შემწე შეიქმნა. დავითი და ეკატერინე ყოველგვარ სამრეწველო ანუ სხვა საზოგადო საქმეს ერთად განაბქობდენ, შეთანხმებული რჩევით გადასწყვეტდენ და ისე გააკეთებდენ. ჯვარი რო დაიწერეს, დავითის სამრეწველო საქმე მაინც და მაინც საიმისო დონეზე არ იღვა. ეკატერინემ, სამშობლო კერაზე ძველებურ-ქართულად აღზრდილმა, დიდი უნარი გამოიჩინა, თავისი მეუღლის ნამდვილი უღლის გამწევი შეიქმნა და ოჯახი ფეხზე დააყენა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ, ქმრისეულ სამრეწველო-საქარხნო საქმეებს სათავეში ჩაუდგა და წარმოება არა თუ შეამცირა, გასამკეცა. ყველგან და ყველათერში თვითონაწილეობდა საქმეს გონივრულად მართავდა, ეკატერინემ თვისი ცხოვრებით ნათელ ჰყო დიდი შოთას სიბრძნე, რომ

**ლევია ლომისა სწორია,  
ძუ იყოს თუნდა ხვადია...**

ხომ გაგიგონათ, რიგიანმა ღვინავა დაქტეული ოჯახი ააგო, ურიგომ აშენებულ იც დააქციაო. სწორედ ასეთი — პირველი გვარის — რიგიანი ღვინავა იყო განსვენებული, რომ თვისი ქმრის ოჯახი აამალა, გაძლიერა და სიკვდილის შემდეგ კი ისეთი ანდერძი დასტოვა (იხ. შემდეგ ნომერში), რომ ქართველ ბედოვლათებისგან დანგრეული ჩვენი საერო ოჯახი აღსდგეს, გაძლიერდეს...

როგორც გონება-განვითარებულმა, გონიერმა და შორსგაშვრეტულმა ადამიანმა, ეკატერინემ მძელი თვისი დიდი ქონება (სამ მილიონამდე) ისე გაანაწილა, რომ მთელ ჩვენს ერს არგოს, უმეტესი წილი კი დაუტოვა ქ. შ. წ. კ. გ. ა. ქართულ დრამატულ, ქართულ საისტორიო-საენოგრაფიო საზოგადოებათა და ქ. ქუთაისის თეატრის ასაგებათ. გარდა იმისა, რომ ამ უხვი შეწირულებით ამ საზოგადოებთ ნივთიერი სახსარი შემატა, სახელი და პატივიც განუძლიერა. დაე, სხვების სამავალითოდ იყოს საქმენი მისნი...

ამბობენ, ამ დიდებული ანდერძის დედაპირი დავითის ნაკარნახევიაო. მით უფრო დიდება და სახელი ეკატერინეს, რომ ქმრის გონივრული რჩევა საქმედ აქცია ერის საკეთილდღეოდ

ჩვენი ბრწყინვალე გვარის შთამომავალი კნენია-ქალბატონი თუ მამა-პაპეულ მამულ-დედულს ბანკებში ავირავებდენ ანუ უცხოელებზე ჰყიდდენ, რომ ერთი დამის სამეჯლისო კაბა ჩაეცვათ — გაეპარაზნათ, მოქალაქის ქალი და მოქალაქისავე ცოლი ეკატერინე-კი მომპირნობით ცხოვრობდა, სმდ-დრეს თავს უყრიდა, რომ ბოლოს მძელი ერისთვის მიეძღვნა...

ჩვენი კნენია-ქალბატონი, სამშობლოზე გულაცრუებულნი, მამულ-დედულსა და ოჯახზე გაორგულებულნი შვილებ-მძაძულებულნი თუ სიცოცხლეს მხოლოდ ფუქაავატობაში ლევდენ და ჰლევენ, — ეკატერინემ მთელი თვისი არსებით შეიყვარა პატივ-აყრილი სამშობლო თვისი, ოჯახს უერთგულა, დღე-ღამ შრომაში განვლო და თუმცა განგებამ შვილი არ

მისცა, ჩაკრულ თანამემამულეთა შვილი იშვილა.

ღიად, ჩვენი საერო და სახალხო მგონებები თუ სიტყვით გამოხატვე მდენ:

**ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე  
ტანჯულ ქართველი ერითაო, —  
ანუ**

**ღმერთო მიეც ჩვენს ქვეყანას  
ბედი და ბედნიერებაო, —**

ეკატერინემ საქმით განამტკიცა ეს დიდი სურვილი...

ჩვენი კნენია — ქალბატონთა უმეტესობა თუ მხოლოდ იმაში ხედავს ბედნიერებას, რა დაიხუროს, რა სქამოს, ვინ გამოიბას ლეჩაქის წვერზე ანუ მარმაშის კაბის ქობაზე, ეკატერინე მხოლოდ და მხოლოდ იმას ზრუნავდა — რანაირად გაეზარდა ქონება, რომ ერს მეტი დარჩენოდა, ზემო ნადიმს თუ გამართავდა — მხოლოდ იმიტომ რო საერო-საქვეყნო საქმეებზე ელაპარაკნათ და ის დღე მიაჩნდა ბედნიერ დღედ, როცა კეთილ საქმეს ჰქმნიდა...

ჩვენი მებატონე — კნენია — ქალბატონი თავისი სარჩო-საბადს, ადგილ-მამულებს უთმევტლე-მოურავთ აქმევეენ და თვით არა იციან თვისი მამულ-დედულის შემოსავლისა, ეკატერინე თვით დასტრიალებდა თავს თვის საქმეს და ბოლოსაც თავი ამას გადაავო: შვიტყო თუ არა, თბილისის სასახლე ჯარის საჭიროებისათვის უნდა ჩამოგართვანო, თვით ავღმყოფი გამოექანა, რომ სახლს მოპატრონებოდა, მაგრამ გზაში გარდიცვალა...

მისი სახლის კარი დაიხშო: იქ მეგობარი ქართველი ფეხს ვეღარ შესდგავს მაგრამ სამაგიეროდ მთელი ქართველი ერის გული გაიღო და შიგ ჩაისვენა ნათელი სახე ამ სამაგალითო ქართველი ქალის ეკატერინესი და მისის მეუღლის დავითისა!..

დღეიდან ქართველი ერის გულში ესენი სტუმრები კი არა — უკვდავი მასპინძლები იქნებიან...

ნეტარება შენ, ღირსეულო **ღვინა-ქანცო**, სამავალითო ქართველო ქალი, რომ შენის კეთილის მოქმედებით ხელთუქმნელი ძველი აგე თანამემამულეთა გულში.

რალა მოკლავს შენ?

კურთხეულიმც იყოს ხსენება შენი!

**იოსებ არიმთიელი**

# შენი ღამე

## მარო და ვარლამი

„დასასრული იხ. თ. და ც.“ № 32

### გიორგი ბიტიანი

--- აი არაფრათ არ ვარგა რძე, ჯერ აღუღებული არ არის. რა ამბავია ეს? ცხარობდა ერთ დილას ვარლამი.

— ვარლამ შენა ჰყვირი? წამოვლაპარაკა ამ დროს მეორე ოთახიდან მარო, რომ

### დარია ახვლედიანი

მელსაც ძილში ხმაურობა ჩაეწვეთა და გამოვლევია.

— ვყვირი რომელია? ჩვენსა არასოდეს არაფერი არ არის თავის დროზე ნზათ.

— დღეს შენს ხასიათზე ვერ ამდგარხარ და ყვირილი გინდა, თორემ ყველაფერი თავის დროზე არის ხოლმე.

— შენი პატრონი კარგ ხასიათზე არ ეყუო, რა გასაკვირალია?

— ახლა მე ვეღარ გამოვიცვლები,—რაცა ვარ, ესა ვარ. თუ კარგათ არ მიცნობდი, რაზე მირთამდი?

ვარლამი მიხვდა, რომ გადააქარბა და ცოტა მოლბა, კილოს დაუშვა.

— ასე არ შეიძლება, მარო! ხომ იცი, მე დილით სამსახურში მიმეჩქარება?

— მერე მე რა ვქნა? ჩემი ბრალი ხომ არ არის ვეცე, რომ შენ სამსახურში მიგეჩქარება?

— რასაკვირველია, შენი ბრალიც არის. თუ მე სამსახურში არ ვიარე, ან შენ რა გარჩენს, ან მე!

— შენ ურადფერს მამბრალი სწორეთ. მე და შენ არც კი ვიცნობდით ერთმანეთს, რომ შენ სამსახურში დადროდი და ისევე ადრე დგებოდი დილით, როგორც ახლა.

— მაშინ უცოლო ვიყავი. დღეს კი მაქვს უფლება, მოვითხოვო, რომ დილით ჩემი ადგომის დროს ჩი და რძე მზათ იყოს ხოლმე.

— ყოველთვის მზათ არის, მაგრამ ხანდა ხან რომ ცოტა დაგვიანდეს, რა ვუყოთ! ეს სად არ ხდება, მაგრამ ამის გულისათვის შენსავით აყალ-მაყალს ატეხა არავინ არ იცის.

ვარლამს პასუხი აღარ გაუცია.

— შენ რა გენადვლებდა, ჭფიქრობდა ის; ბრალი ჩემი, თორემ შენ შუადღემდე თბილ ლოგინში იგორავებ, მერე აბრძანდები და მიირთმევ გემოიანათ ყავას და კარაქს.

გულში ის ცოლის ბედს შენატროდა და ქმრისას კი სწყევლიდა.

თუმცა ჯერ დაგვიანებული არ იყო, მაგრამ რძისათვის აღარ მოუცდია, ერთი ქიქა ჩი დალია საჩქაროთ და გასწია.

— საიდან გამოჰყვა ასეთი ღძიმეხასიათი? სულ უბრალო საქმეზე უნდა აჯაჯლანდეს ასი წლის ბებერივით! წაილაპარაკა მარომ, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და თვალები დახუჭა.

—ნუ თუ ყველა ცოლებსა სძინავს ჯერ კიდევ, რაცა ქმრები სამსახურში მიდიან? ჭფიქრობდა გზაში ვარლამი.

თეატრული შემდგომი წელი.

როდესაც ვარლამი სამსახურიდან ჩვეულებრივად ადრე დაბრუნდა, მარო სახლში არ დახვედრია; ბაზარში საქმე ჰქონოდა და იქ წასულიყო. ვარლამს გული მოსდიოდა, როდესაც ცოლი სახლში არ დაუხვდებოდა. მარო მხიარული, ცქრიალა ქალი იყო, საზოგადოება უყვარდა; ვარლამი კი იქვიანი გამოდგა.

ვარლამს შიოდა. გაიძრო თუ არა პალტო, მაგიდას მოუჯდა და მოზრდილი ლუკმა პურისა პირში ჩაიდვა.

— სადილი ჩქარა მოიტანე! დაუძახე მან მოსამსახურე გოგოს.—გოგო სამზარეულოში გავარდა, მაგრამ მზარეულს ჯერ წვენი არა ჰქონდა გადაწურული.

გულმოსულ ვარლამს თითო წამი თითო საათათ ეჩვენებოდა. მეორე ლუკმა კი გადაულაპა და ვეღარ მოითმინა, წამოდგა ზეზე და მოსამსახურეს დაუყვირა:

— რა ღმერთი გავიწყობა? ახლა ამზადებთ სადილს?—ამ დროს ზარის ხმა გაისმა და მოსამსახურე კარის გასაღებათ გაიქცა.

— რა უყავი სადილი? დაუყვირა ვარლამმა

სუფს წურამს, ბატონო! მოისმა მოსამსახურის პასუხი.

— აი ჯანაბამდე გზა გქონდეთ ყველას! ჩაილაპარაკა ვარლამმა, სახეზედ წამოწითლდა და დაუწყო ცალიერ პურს და მარილს ქამა.

მარო შემოვიდა.

— შენ კიდევ მოსულხარ, დამგვიანებია. ჩაილაპარაკა მან და შევიდა საწოლ ოთახში, პალტო გაიძრო, ქუდი მოიხადა, გამოვიდა, მაგიდას მიუჯდა.

— ზჰ, ცივა გარეთ! ამბობდა მარო და ხელებს იფშენებდა. ვარლამი ხმას არ იღებდა, განზე იყურებოდა. შემდეგ წამოდგა და კარებთან მივიდა.

— მოიტან თუ არა სადილს, შე ოხრის შვილო, შენა! დაუყვირა მან.

— რა დაგემართა? მეზობლებისა მაინც არა გრცხვენინა? წარმოსთქვა მარომ საყვედურის კილოთი.

— რა დამემართა! რა დამემართა! წამო-  
იძახა ვარლამმა: კაცს მგელივითა მშია, დალა-  
მდა ეს-ეს არის და ჯერ სადილი მზათ არ  
აოის შენც სადილოზბისას მოგინდება გასეირება.

მოსამსახურემ წვენი და სორცი ამოიტა-  
ნა და შუაზე დადგა.

— არავითარი გასეირება არ მომლომე-  
ბია, საქმე მქონდა და წავედი

— ყოველ საქმეს თავის დრო აქვს.

— თუნდა უდროვო დროს წავედი, მე-  
რე რა მოხდა?

— არაფერი არ მომხდარა, არაფერი!  
შენთვის სულ არაფერია. პირველ საათზე ყა-  
ვა მიირთვი კარაქით; მერე წაბრძანდი სუფ-  
თა ჰაერის გადასაყლაპავათ, ჩემს კუჭში კი  
დიღას აქეთ არა ჩასულა-რა, — ცხარობდა  
ვარლამი.

— თუ ყავას მამაღლოვებ, არ დავლემ.  
წარმოსთქვა მარომ: მხოლოდ ამ.ს.კი გეტყვი,  
რომ მეტის მეტი უსამართლო და უხასიათო ხარ.

— რადგანაც შენს თაყვანის მცემლებს  
ყოველ საღამოს ვახშამს არ ვუმართავ, არა?  
წამოიძახა ვარლამმა.

— რას ლაპარაკობ, ვარლამ! ყოველის-  
ფერს სამზღვარი აქვს! წარმოსთქვა მარომ და  
გაოცებულის თვალებით შეაჩერდა.

— ჩემს მოთმინებასაც სამზღვარი აქვს!  
უბასახა ვარლამმა.

მთელი დღე ამის შემდეგ ცოლქმარს  
ერთმანერთისათვის ხმა აღარ გაუციათ.

— ღმერთმა დასწყევლოს ცოლქმარობის  
მამგონი! ჰფიქრობდა ვარლამი და თავის კა-  
ბინეტში ბოლთასა სცემდა.

— იმ ქალს კი რა ვუთხრა, რომელიც  
გათხოვებას ინატრებს! ამბობდი გულში სა-  
ვარძელში გაწოლილი მარო.

**მამისი.**

— შეილო, როგორ შეიძლება ამისთანა  
საქმე? ცოლქმარს შუა რომ წალაპარაკება  
არ მოხდეს, საღ მომხდარა, მაგრამ ამის გუ-  
ლისათვის გაშორება საღ გაგონილა! ეუბნე-  
ბოდა მაროს დედა.

წალაპარაკება კი არა, დედაჩემო, ყო-  
ველ დღეს ჩხუბი, უკმაყოფილება სულ უბ-  
რალო საქმეზე, მუდამ იკვირანობა! არა არა,

აღარ შემიძლია, აღარ! წარმოსთქვა მარომ  
ხელების ქნევით.

— რა ვუყოთ შეილო! ადამიანი ყოვე-  
ლთვის ხომ ერთ ხასიათზე არ იქნება? უნდა  
მოუთმინო.

— მეტი მოთმენა, დედაჩემო, აღარ შე-  
მიძლია. თუ სამსახურში არ არის, კიდევ  
არაფერი. თუ საქმეს აკეთებს, სულ აღრენი-  
ლია, სულ ძარღვებ აშლილი.

— რა ვუყოთ, შეილო! სამაგიეროთ  
შენ უნდა შეუწყო ხელი, გაამხიარულო.

— ბევრს ვეცადე, დედა ჩემო, მაგრამ  
ამაოთ, იმას ხასიათს ვედარავინ გამოუცვლის  
ხმა ვერავისათვის გაძიცია რომ ექვი არ აი-  
ლოს! ეს აღარაფერს აღარა ჰგავს!

— უსათუოდ უნდა შეურიგდე შეილო,  
უსათუოდ. მარტო თავი მოგეჭკრება შენცა  
და მეც. აი ხვალ უქმე დღეა და წავიდეთ,  
შენებურათ მოუალერსე, მოუსიყვარულე და  
შერიგდით.

— არასოდეს, დედაჩემო, მე და იმისი  
ერთათ ცხოვრება ყოვლათ შეუძლებელია.  
გადაქრით უბასუხა მარომ.

ორი კვირის შემდეგ მარო ნაცნობ ვე-  
ქილთან იყო ქმართან განშორებაზე მო-  
სალაპარაკებლათ.

*ვ. კ. მთელი*

**აშონაპვნენი!**

ოხ, ღმერთო ჩემო, რისთვის მარგუნე,  
მე ამ ტანჯვასთან დამეგობრება?!  
დღეს ტანჯვის წუთებს განიცდის სული,  
მას დღე ნათელი არ აგონდება.

ბნელში შევსულვარ, ბნელით მოცული,  
და მზის სხივს ველი, მზე მენატრება ..

**ბ. კვატხუაფა.**

*(გიონ სეპია)*



# სული ლაგაზი

ეკატერინე ივ. სარაჯიშვილისა

ვის უნახავს თვალჩაუწვდენი ზღვა უსა-  
ზღვრო ანუ დედამიწის გაუფალი შუა გული,—  
ვინ ჩამოსთვლის რაოდენი საუნჯეა მათში  
დაცული!—

სწორედ ასეთი იყო ზღვა-გული ჩვენი  
დიდი ეკატერინესი.

გარეგნობით — მდიდარი მოაჯარადრის ქა-  
ლი, მდიდარისავე მექარხნე-მრეწველის მეუღ-  
ლე, კერძო მესაკუთრე ვის რა ეგონებოდა,  
თუ არა მხოლოდ თავის თავის მონა-მსახური?

განა თითქმის ყველა მექარხნე მდიდარი  
ასსა და ათასს კაცს იმიტომ არა ჰხრავს,  
რომ საკუთარი კეთილდღეობა მათს უბედუ-  
რობაზე ააგოს, ოქროს ტომარად გარდაქმნი-  
ლი კერპად დაგვესახოს, ერი და მისი საკი-  
როებანი ფეხქვეშ გაჰქელოს და თავის კუკის  
გარეთად სხვა არაა იწამოს?

ერთის შეხედვით, თითქოს ეკატერინეც  
ისეთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა: ღვი-  
ური მადლით გამთბარი გული თურმე მოყვა-  
სთა სიყვარულით უცემდა..

სტოცხლობდა მისთვის. რომ სამშობლო-  
სა და თანამემამულეთა კეთილი სამსახურით  
დაეტკბო სული, გარდაიცვალა მისთვის, რომ  
უკვდავ ქმნილიყო..

ხუთი წლის წინად დაჰკარგა ქმარი—  
თვისი ცხოვრების თანამგზავრი, თვისი  
მეორე მე...

და გული მისიც დაიკრძალა... ვარდ-ყვა-

ვილებით შეამკო სამარე ქმრისა, ხოლო მის  
გვერდით განამზადა თვის სასამარე. და მასაც  
ამკობდა ყვავილებით: მეც აქ ვმარხივარ, რა-  
კი ჩემი დათიკო მოკვდა — მეც მოკვდიო, —  
იტყოდა იგი.

ხშირად ურჩიეს:

— დავადგათ ძეგლი, რამე ქვაო! — მა-  
გრამ იგი, ფრთა მოტეხილი ობოლი მტრედ-  
ვით დაგვალული, აღმოიტყოდა:

— ჩემს დათიკოს ჩემის ხელით ქვას ვერ  
დავადებ... ოდეს მოკვდევ, დამკრძალეთ მის  
გვერდით და ორივეს მხოლოდ ერთი ქვა დაგ-  
ვადეთ: ჩვენ ორნი ერთი ვიყავით და ასეც-  
უნდა ვიქმნეთო..

ამას ამბობდა ნახევარ საუკუნეს გადაცი-  
ლებული მანდილოსანი..

ნეტარება მისს უშრეტ სიყვარულს!..

სიყვარული მისი კიდევ უფრო უძირო  
იყო:

ვინ არის იგი, ერთხელ ენახოს, მასთან  
ერთხელ ემუსაიფნოს და მისი მაღალი სიყვა-  
რულის — მოყვასთა სიყვარულის — შუქი დიადი  
არ მოჰფენოდეს?!

მოყვასთ სიყვარულით სულგანათლებუ-  
ლმა, მდიდართ მდიდარმა სიკვდილის კარს  
ესლა ინატრა: ნუ დამკრძალავთ დიდრაჯულად:  
არ ვსაქიროებ არცა გვირგვინთ, არც დიდ  
ძეგლს, — ბევრი არ დამახარჯოთ, და ქო-  
ნება ჩემი ჩემსა ერსა გაუბოძეთო..

სიყვარულის მომფენი ლაჰარი მიწელდა,  
მაგრამ ისე-კი, რომ საუკუნოდ, ჟამით-ჟამამდე  
გააშუქებეს...

სულს ლამაზო! იცხოვრე მარად, რათა  
შენგან მუდამ ვისწავლოთ როგორ გვიყვარ-  
დეს, რომ ჩვენც შეგვიყვარონ....

იოსებ იმედაშვილი

## მოკარული სიყვარული.

ჩვენ დავშორდით ერთმანეთსა უსიტყვოდ და უსალამოდ,  
დაგიმაღე, არ გითხარი, რომ მივდივარ სამუდამოდ.

სულერთია! ხომ არ იცი რა ხარ ჩემთვის, მომლიმარო,

ვერც გაიგებ! ვერც გაიგებ! ეს გულია ღრმა მადარო.

განშორებამ ვერ ჩამიკლა ტკბილი გრძობა, სიყვარული,

მე არა გთხოვ არაფერსა, მე არ მინდა სიბრაული. —

ცას შეხედე: მზე, ვარსკვლავნი, მთვარე ნაზი — მოკამკამე,

ყველასია ვინც რო ჰხედავს, ვინც შეჰხარის დღე და ღამე.

შენც მნათობებს მიგათვალე, ყველასია ხარ მომცინარე. —

და თუ შორს ვარ მაინც გხედავ!

აი, როგორ შეგიყვარე!..

მარიჯან.



# სწორუპოვარი მეუღლენი



დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და მე-  
ღლე მისი ეკატერინე ივანე ფორაქაშვილის  
ასული. (1882 წ. გადაღებული)

ფერი ფერსა—მადლი ღმერთსაო ჩვენს  
ხალხს რომ უთქვამს, სწორედ განსვენებულ  
მეუღლეთა დავით და ეკატერინე სარაჯიშვი-  
ლებზეა გამოჭორილი.

რა მხრით აიღებთ, რომ ერთი მეორის  
სწორი და ტოლი არ ყოფილიყოს: პრაქტი-  
ული საქმიანობით, გამჭირახობით, დიდი საქმის  
უნარიანი მოვლით, იდეური ქველ-მოქმედო-  
ბით, სამშობლო ქვეყნის განუსაზღოველი და  
შეგნებული სიყვარულით!...

მამულიშვილობა და მოქალაქეობა,—აი  
რა იღვას ემსახურებოდენ შეგნებით განსვენ-  
ებულნი...

ჩვენი ბრწყინვალე წოდების დიდმა უმე-  
ტესობამ მამა-პაპეული ადგილ—მამული გა-  
ფლანგა, სამშობლო დაამხო სულიერად და  
ნივთიერად, განსვენებულმა სწორუპოვარმა  
მეუღლეებმა კი მთელი თვისი კეთილი შენა-  
ძენი ქონება, სამს მილიონამდე, ერს დაუ-  
ტოვეს...

უძენოთი იყვნენ, მაგრამ ვინ მოსთვლის  
რამდენი სასარგებლო ნიჭიერი.. წევრი აღუ-

ზარდეს სამშობლო ქვეყანას და მათგან და-  
ნატოვარი კიდევ რამდენ ასს სასარგებლო  
კაცს გაზრდის!...

ნათელი სულის პატრონნი იყვნენ ეს ღი-  
რსეული მეუღლენი და ნათელი საქმეებითაც  
გააუქტეს თვისი აწმყო და მომავალი.

მათი ხსენება გაუქრობელ სანთლად  
იპარპალებს ყოველი ქართველისა და არა ქა-  
რთველის გულში!..

ექიმი შტოკმანი.



დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი,  
სახელგანთქმული მოღვაწე-მრეწველი, კომერციის სო-  
ვეტნიკი, უხვი ქველმოქმედი, გარდაიცვალა 1911 წ.

\* \*  
სულმნათნო, მადლო თქვენს გამზენს  
დიდება ერსა—თქვენს მშობელს  
და ძეგლად სამარადისოდ  
ნეტარ ხსენება ამ სოფელს.

(აპაქი-ს ლექსიდან)

# „მზის საიდუმლო“

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 32)

**ფარ.** მერე რა ნახე?

**1 შიკ.** ძრწოლა და შიში! ყველგან ღმერთებს მსხვერპლსა უძღვნიან და მოწყალებას შეჰღადადიან. ოხვრა და ღაღადს აუვისია მთელი ქვეყანა; მაგრამ ამაოდ! იმათ არ ძალ-უძთ გააქარწყლონ დედა-მიწას რომ უკუნეთი ზედ დასწოლია. ადამიანებს უბიწოებს ყველგან ვეძებდი. ქაბუკთ და ქალწულთ ეკვრეტდი ყოველგან, მაგრამ ამაოდ, ვერ ვხედავდი უანგარო მათ სიყვარულსა. და მხოლოდ ერთხელ გაფიქრე: თუ მართლა ამბობს მოხუცი ვარსკვლავთმორიცხველი, მაშინ მზესაც დავინახავდი.

**ფარ.** მერე რა ნახე?

**1 შიკ.** მსაჯული წინ, მოედანზე იდგა მონათ ბრბო გარს ეხვია. ორნი ბატონს გამოჰკეცოდნენ და ეს შეეპყროთ. გარს ხალხი ღელავდა, ჯოხებით და მუშტით ემუქრებოდნენ. მოსამართლისგან მოითხოვდნენ შკაცრ განაჩენსა, მაგრამ მშვიდ იყო სახე მონისა. იგი აღერსით და ღიმილით უტკეპოდა ხალხს; ჰგავდა, თითქოს თვალნი მისნი ეძებდნენ ვისმე და უთხრა იმას მსაჯულმა: ეჩვენებინა ამხანაგი მასთან ერთად რომ გამოიქცა. — „არა“ — მონამ მოკლედ მოუქრა და გარშემო მიმოიხედა. მსაჯული კი განაგრძობდა: „ერთ ბლუჯა ოკროს გაჩუქებენ, მდიდრად იქცევი, ოღონდ გვიჩვენე, მიგვითითე შენს ამხანაგზე. — და ისევ ნელად გაისმა ხმა: — „არა“! ბრბო კი შეინძრა, ბოროტმა გმინვამ ვითა ქარმა ზედ გადურბინა; მოსამართლემ მესამეთ უთხრა: „თავისუფლებას საუკუნოს ჯილდოთ მიიღებ, ოღონდ გვითხარი ამხანაგი სად არის შენი. მაგრამ უჩუმრათ გაიცინა, მძლავრი თავი მიმოიქნია და მესამეჯერ უთხრა მონამ: — „,არა... — როგორი გულუმბრყვილო ხართ! სხვის მონობით და მწუხარებით არ შეიძლება რომ იყიდოთ თავისუფლება“ როგორც კი ეს სიტყვა, ღრუბლები შუა გაიყვნენ, ათამაშდნენ სხივები მზისა. ყველა ისე ძლიერ აღელვებულნი იყვნენ, რომ არავის არ დაუნახავს; მხოლოდ მე ვნახე

სუსტი სხივი და დავდუმდი მოლოდინშია. როგორც საშინელს გრვინისა დროს, ზღვა ქუხს და ღელავს, ისე ღელავდა, გრიანებდა შეყრილი ხალხი: „როგორ“?! უმგზავსი მონა როგორ გვიბედავს, ჩვენ გვასწავლის?! სიკვდილი მაგას!! ჩამოხრჩობა!!“ და დამუქრებით უთვალავი გაწვდილი მუშტი ჰაერს აპობდა. უცბად მონისა პირისახე მთლად მოიღუმა; მთელის ძალ-ღონით გაიწია წინ და გაფითრებულს მის ტუჩებსა მოსწყდა ყვირილი, ყვირილი კი არა, გმინვა სულისა: „როგორ, შენც, შენც თხოულობ ჩემს ჩამოხრჩობას?! შენ, ჩემი ამხანაგი, თანაზიარი?!“ და ბოროტებით ანთებულმა, ასწია თავი მედიდურათ და საშინლად დაიღრიალა; ბრბოს ყვირილსა გადააქარბა: „— არავისი აღარა მჯერა. დიანახეთ — აი, ეს არის!“ მიუთითა ბრბოში ერთ-ერთზე. და მომეჩვენა, რომ დაბნელდა, ჩაქა ის სხივი... იგი მეორე დაიქირეს. (როცა შიკრაკი ათაგებს, მსმენელებს შოთხის გუგუნის გასმის)

**1-კარ.** კაც. უცნაური შემთხვევა არის.

**ფარ.** ეგ არის მხოლოდ?

**1 შიკ.** მხოლოდ.

**ფარ.** შეგიძლიან უკვე წახვიდე [1-ლი შიკრაკი გადის ბანისკენ]

**1-კა-კაც.** ვერ გავიგე მისი ზღაპარი. რატომ ვასცა იმა პირველმა?

**ფარ.** (ზაფიქრებულო) მე გავიგე... ეძრწო... წინათგრძობანი მეხვევიან, გულს მიხუთავენ და განვიცდი სამარისებურ სიცივესა, სიცალიერეს. (ზაზუსა) დაუძახეთ ახლა მეორეს. (პირველი კარის კატი გადის მარჯვნივ და მშინვე ბრუნდება მეორე შიკრაკითურთ. იმასაც როგორც პირველ შიკრაკს, ისე აცვია)

**2-შიკრაკი** — დიდებულს მეფეს უმდაბლესი ჩემი სალამი. აღმოსავლისკენ მიმართული იყო გზა ჩემი და სუყოველგან ვეძებდი სიყვარულსა, უანგარო ადამიანებს. მაგრამ ამაოდ. ვერსად ვნახე. ყველგან ცარცვა, ძალ-მომრეობა, გარყვნილებაა. მეფობს სიცრუვე, მოტყუება და თვით შიშიც კი ადამიანებს ვერ უნერგავს სიკეთის გრძობას.

**ფარ.** — არ შეიძლება მთელ მხარეში ვერ მოიძებნოს თუნდაც ორი ერთმანეთის მოსი-

ყვარულე. არ შეიძლება, ორნი მინც ვერსად ვიპოვოთ, რამ ცხოვრობდნენ უნგაროთ და წმინდის სულით. თქვენა სტრუობთ; მაშ სად არიან ის ჭაბუკნი და ქალწულნი, რომელთაც უყვართ უნგაროთ, უყვართ სინაზით და ისეთი წმინდა გრძობებით, ვით გამსჭვირვალე მოციმცივე აღმასის თვალი.

**2 შიკ.** მაგნაირებს არ შეგხვედრივარ. ბევრს გაუბი მე საუბარი, ბევრიც დიდათ დავიშვებობრე, მაგრამ ბოლოს კი ანგარება და ქვენაგრძობა სუყოველგან წინ მიხვდებოდა.

**ფარ.** მაშ რად არიან სულით მართალნი?

**2-შიკ.** (დარცხუნაი) სწორედ მაგას მეც ვკითხულობდი... მაგრამ მითხრეს...

**ფარ.** რაო, რა გითხრეს?

**2-შიკ.** (ჩუმად)—რომ იგინი გარდაიცვალნენ. (ზაჟუზა)

**ფარ.** გასწი. მე აღარ გიქერ. (2-შიკრიკი გადის. ყველა სდუმს) თქვენ რას გაჩუქდით?! ან იქნება მზაკვრობა რამ ჩაიფიქრევეთ?.. მე გიცნობთ თქვენა! ცრუ მორწმუნე და მშიშრები ხართ! პირმოთხენი, ქვეშქვეშა და საცოდავები! და ყველა სულელს თქვენ მზათა ხართ რომ დუჯეროთ. (ყვირის) მე კი არ მჯერა!!! და მშვიდათა ვარ. და მშვიდათა ვარ მხიარული, როგორც ყოველთვის. მიქარვაა სუყველაფერი!!! მსულს ზღაპარი ისევე განაგრძონ!

**ელოე.** მე მზათ გახლავარ... (ჩანგის ჭანგებზე დეკლამაციით ამბობს)—ცა მოიღუშა... ვარსკვლავები აღერსიანად ციმციმებდნენ ზეცის სივრცეში. ჩადგა ნიავი—(შემოდის სანქაროდ 3-მე შიკრიკი. მშვენაიერა ჭაბუკი, რა დინახავს ელოეს, სანქაროდ შესდგება გაკვირვებულა ელოე ოდნავ გასაგონათ) ახ...

**ფარ.** (წამადგება და შიკრიკს) ვინ გეძახოდა? (ელოეს) რა შუაშია შენი შეკრთომა?.. რისთვის შეჩერდი?

**3 შიკ.** ზომიტივეე. მეგონა, მეც მომიხმენდი. შეეკრთი-კი მიტომ, რომ ზღაპარი შეგაწყვეტინეთ. (ელოეს შეჭყურებს ჩუმად) იგია უმეკველად, ელოე არის!

**ფარ.** გასწი, შენ მერე დავიძახებ (3-შიკრიკი ელოეს შეჭყურებს და არ იძვრება) გასწი, მე შენ გიბძანებ.

**3 შიკ.** აი. მივიღივარ, ხელმწიფეო. (ნუჯა გადის)

**ფარ.** რას ნიშნავს მისი შემოხედვა? (ელოეს) შენ შემკრთალი ხარ და შესწყვიტე შენი ზღაპარი. რასა ნიშნავს სუყველაფერი?

**ელოე** (თავისთავის)... არ შეიძლება, რომ ის, იგი არ იყოს!.. (ფარას) მისმა მოსვლამ უცაბედმა შემაკრთო, მეფევე, და შევსწყვიტე ზღაპარი ჩემი. თუ ინებებ, სწრაფლ გავაგრძელებ?

**ფარ.** კმარა ჯერ ხანათ... უფრო და უფრო სიძლიერით მეხუთვის სული.

ფარდა ახადეთ, გაიხედეთ ხომ არა მოსჩასს საიდგანმე შუქი სხივისა. (რამდენიმე კაცი მიიბრუნს და ფარას გადახდის ბანისაკენ. უკუნეთა გაშეფებული. ურუ ქუხილი მთისმის)

1-კ. კაცი არაფერი სჩანს.

**ფარ.** (შადუშვით) კარგი! ფინიკიდან მოსულს ვარსკვლავთმრიცხველსა დამიძახეთ. (ელოეს ახლას ჯდება. მონა გადის მარჯვნივ)

**ელოე.** მითხარ ვინ არის იგი ჭაბუკი? და ან რა ჰქვია?

**ფარაო.** რისთვის გკირდება მისი სახელი? უწინ იგი ჩვენი ტყვე იყო, ახლა უბრალო მეომარია.

**ელოე** უცხოელია?

**ფარ.** (იქით) დღესვე გავამგზავრებ მას. საეკვო არის.

(შემოდის ვარსკვლავთმრიცხველი)

**ვარსკ-მრიცხ.** შენ მომიწოდე?

**ფარაო.** მინდოდა მეთქვა შენთვის, რომ ყველაფერი მოიცრუე. მე შიკრიკებმა მომახსენეს, რომ გზაში იმათ ბევრი ნახეს, უნგარონი, მართლები და ერთმანეთის მოყვარულები.

**ვარს.-მრიცხვ.** იმათ გითხრეს?

**ფარ.** დიახ.

**ვარსკვ-მრიცხ.** ნუ ინებებ, ძლიერო მეფევე! მოტყუება ჩემი ძნელია. შიკრიკებმა ეგ არ გიამბეს. მესამისგან ჯერ არ გსმენია!

**ფარ.** მერე რა! მესამეც ხომ იმას იტყოდა რაც სხვებმა სთქვეს!

**ვარსკვ-მრიცხვ.** არ შეგიძლიან მაგის ცოდნა, ყველას არ ძალუძს წინდაწინვე იმისი ცოდნა, თუ ვინ რას იტყვის!

**ფარ.** ნუ თუ გგონია ის სულ სხვას იტყვის?..

**ვარსკვლ-მრიცხვ.** მე მგონია, რომ სულ მალე მზეს დავინახავთ.

**ფარ.** სტყუი, ბებერო!

**ვარსკვ-მრიცხვ.** — (დამშვიდებული) დავინახავ მე და არა შენა!

**ფარ.** — (ნერვიულად წამოდგება) შენ ბუნდოვანათ ლაპარაკობ — პირის-პირ მინდა მოგისმინო. წადით ყველანი. (ეღოკეს) და შენ კი დარჩი, დასამალავი შენს წინაშე არაფერი მაქვს. (უგულა გადის) აბა, „დიწყყე ჯადოსანო.“

**ვარსკვ — მრიცხვ.** — (მსჩუპს აიჩქარებს) ყველაფერი ვსთქვი, მე მგონია, რომ იმ ქაბუკმა მოგვიტანა მზისა სხივები. ნათელია მის პირის სახე, გული მისი სიხარულით სძვერს. რასაც ეძებდა ასე დიდხანს, უკვე იპოვა და დიადი რომ ღვაწლისათვის იგი მზათ არის. (მიაშტერდება ფარას) მაგრამ შენ... შენ არა ხარ მზათ და შენი სული შეხუთულია... მე-

# დეკლამაცია

ჩვენი დღევანდელი ვითარება საქართველოში და კერძოდ თეატრალურ ხელოვნებას სანატიო როლს ანიჭებს. დღეს უგულვამ შეიკნო, რომ თეატრი, ეს ხალხის სულის სარკე, თავის ფარგლებში თითქმის უგულვად იქცევა და ამით ხალხთა გონებაში საკანცერნიო იდეალებს ფართო ტრასას უმართავს.

დეკლამაციის ვრთი დარგია ამ თეატრალურ ხელოვნებისა. მართალია თავისი შინაარსით ეს არ არის რაიმე სიბრძნის ფაქუსი, მაგრამ ჭეშმარიტი ფარგლებით წამოდგენილი დეკლამაცია იმავე დროს მასწავლებელია, შემცნობია რაიმე შინაარსისა, რომლის უბრალოდ წაითხვა თავის მნიშვნელობას უკარგავს და აუხსნელ რამედ ისახება. შინაარსის მხედების გარდა, დეკლამაცია კანტა გულს აუაქიზებს; უტყუარი დეკლამაციის სმენა-ცქერა ადამიანს სიტკბობას განცდევინებს და ერთგვარ განვითარების საფუნურზედ აყენებს.

აი, სწორედ ამისთვის განვიზრახეთ შეძლებისა დაგვარად კანცერნივთ ამ ხელოვნების — დეკლამაციის მტოდნეთა აზრი შესახებ ამავე ხელოვნების, რომლის ცხადსაუფუქლად ჩვენი კრის შეიღწივ სშირად სტენის რამზას ესტუმ-

შინიან, მზეს ვერ იხილავ...

**ფარ.** თუ დავინახავ ისევ მე, ან და არავინ

**ვარსკვლ-მრიცხვ.** არავინ არის თვის საქმეში თავისუფალი. (ეღოკეს) შენ კი ლამაზო მოგილოცავ ახალს ცხოვრებას.

**ელოვ.** მითხარ ვინ არის ის ქაბუკი?

**ვარს მრიცხვ.** ჩქარა გაიგებ.

**ფარ.** (ეჭვით შესტყუარის ეღოკეს) და შენ, შენც ელი სჩანს ჩემს სიკვილისა?! მაგრამ გიჩვენებთ რომ ჯერ კიდევ ხელმწიფე მე ვარ! გამოძიებას თვით მე მოვახდენ და ვაი იმას, თუ რაიმე დამიმალა! აბა წავიდეთ!

**ელოვ.** ოი, ღმერთებო, დაიფარეთ მისი სიცოცხლე. (ორიგ მანჯუნეგ გადის)

## ელო ანდრონიკაშვილი

(დასასრული იქნება)

რებიან, მაგრამ დიდი უმრავლესობა დეკლამაციის დიად ლანიშნულებას ოდნავად ვერ აღწევს. ამოქმედება მკვირცხლი, მოქმედება მუდმივი, აი ძირითადი კანონი სტენიური კითხვისა... და ამ მტნებას თავის ნაფიქრს უმატებს ცნობილი დებე, რომელიც ამბობს: „დეკლამაცია არის ერთი დარგი მეტყუარებისა, რომელიც შმის მრავალფეროვან ინტონაციის ძალით, სხვა და სხვა გვარ განცდას გვარძნობინებს და სტდილობს ეს გრძნობა ხალხის გულში გადაიტანოს“. მართლაც და რა უნდა იუვეს ისეთი ან წაკითხული ან წარმოთქმული, რომელიც ადამიანის გულში გვალს არ დასტოვებს?! უბრალო ფრასაც კი სშირად, კარგის გამოთქმით, რადაც ღრმა მტნებად ისახება და შინაარსს მეტ დარსებას ანიჭებს. ასეთ გვარად გამოთქმისთვის კი საჭიროა ცოდნა ამ გამოთქმისა. და თუ გვინდა ამას მივაღწიოთ, მამინ მოუსმინოთ უფროს-კოკონის: „უხადრესი ბუნდნიერება მკითხველისა აჩუბობს იმაში, რომ მსმენელს სრულიად დაუწიფეს საკუთარი აჩრება და უბრატკობა საკითხავ საგანს მიანიჭებინოს. რამდენად მეტად იგიწებენ თვით მკითხველს, იმდენად მეტად იგონებენ მამინ, როდესაც კითხვას გაათავებსო“. აქედან უნდა გამოვიტანოთ ის, რომ მკითხველი არ უნდა ცდილობდეს თავ-

ვის მიზნების გასწავლით წარმოდგენას, მის ფიქრს მხოლოდ საგნის უფლებ-მხრივი გადმოცემა უნდა იმურობდეს, ამისათვის კი, ე. ლეგუვის აზრით, „საჭიროა წაითხვას ისე, როგორც ფლამანკობთ.“ იგივე ე. ლეგუვი ამბობს: „არ უნდა დაიწყოთ კითხვა მაშინათვე, როდესაც საზოგადოების წინ გამომდებით, არამედ უნდა ამ საზოგადოებას ჯერ სუფით-ხორცამდე შეუერთდეთ და თვალათხედითავე შეეჩვიოთ... შემდეგ ამისა, მკითხველის მიზნული ვადლებულება, დასაწყისში დრამად ჩაისუნთქოს ისე, რომ ფილტვები სასუნთხით ამოსოს, შემდეგ-კი იწვიოს უფრო ძნელი საქმე: სარჯვას სულისა, — ამ ჩანასუნთქისა. კარგი მკითხველი მეორედ ჩაისუნთქავს მანამ, სანამ ადრე ჩაისუნთქული ჭკერი სულ დაეცდებოდეს; და რომ მათუბებულმა ეს ხშირი ჩაისუნთქვა ვერ შეამჩნიოს და კითხვაც არ შესწავდეს, საჭიროა ჩაისუნთქვას ხმოვან ასოების: ა. ე. და ო-ს წინ, რადგან ამ დროს მიზნის გაღებას საჭიროა“-...“

ბევრი ჩვენთაგანი კი ასე არ იქცევა. მრავალჯერ შეესწრებიან იმ შემთხვევას, რომ მკითხველს სტრუქტურების ბოლო ნაწილები სრულიად ვერ გაუგებინებია. ეს სწორედ იმისთვის, რომ ჭკერი დაჭლევიან უადგილოდ და შეჩერებ-კი საქმეს წაახდენდა, მაგრამ მაინც უცნობი რჩებოდა, რადგან სიტყვებს ვერ ეარჩევდით.

დეკლამაციის მშენიარებელის მისაღწევად გამოთქმის უმწვერვალესად განსაჯიარებულადი დიდი დაკვირვებას საჭირო. როგორც სხვა დროს, ისე ამისათვისაც მარტო ლექსის გასეპირება და ცივად თქმა არა კმარა. საჭიროა შეგნება, განჭვრეტა იმის, თუ რა მარხია სათქმელში, თუ რას გვასწავლის დაშწერი. და თუ გვირდა უფელი იგივე ეს ცხადვებოთ და მშენიარებით შეუმოსოთ, უნდა „გონიერი ზომიერება და ზომიერი გონიერება“ ვისმაროთ. დეკლამაციისათვის რომ ეს თეზისი დიდ საჭიროებას წარმოადგენს, დასამოწმებლად მოგიყვან მსოფლიო მწკრადს გიორტეს. აი, რას ამბობს ერთ თავის ნაშრომში: „გამოთქმის, წარმოთქმის უსუნაესობამდე მისაღწევად საჭიროა მკითხველმა-მთქმელმა რაც შეიძლება დინჯად დაიწყოს. დასაწყისში, რამდენადაც მოხერხდება, ტონი უნდა დაეშვას, შემდეგ კი ნელ-ნელა აიწიოს; ისე მოქცევათ მარ-

ცვალი იღებს თანთე-გარკვეულ მოხაზულობას, და უფელგვარი სიტყვათა ცვლილებაც, შინაარსის საჭიროებისათვის, ადვილი მოსახერხებელია.. წინააღმდეგ, მაღლის ხმით დაწყებით, მთქმელი დაბალ ტონისაგან გადაწვევას, ვაჭკაცობის სიმტკიცეს ჭკარგავს და შემდეგ უფრო მაღლის, უფრო სულ ჩადგმული დგთაებრივობის გადმოსაცემად შეუძლებლობის ფარგლებში მოქცევათ..“

უფელი იგივე ეს უტყუარად გვასწავლის იმას, თუ როგორ უნდა იქმნას ნათქვამ-წაკითხული. მაგრამ არა ნაკლების მნიშვნელობისაა ის, თუ რა, ან რაგვარი ნაწარმოების წაკითხვას საჭიროა. ამის შესახებ ბევრგვარი აზრის გამოთქმა შეიძლება ეს-კი ცხადია, რომ თუ არჩევის დროს უფელგვარად შემეულ ნაწარმოებს ამოვარჩევთ, მტის ქებით შევიმოსებით, თუმიცა, აქვე უნდა ითქვას, ხშირად ამ უფელმხრივი დინსებით აღჭვრელი ნაწარმოებ-კი ვერ არის ხოლმე სათანადოდ მოსმენილი.

სწორედ ამ გარემოებას ნ. ვ. კორეცი (არევისორია) დიდ ურადლებას აქცევს და ასეთგვარი შემთხვევისაგან თავის დასაღწევად, გვასწავლის: „უფელი მისახობი უფრო მტის მოიგებს, თუ წასაკითხად არჩევს ავტორთა ისეთ ნაწარმოებს, რომელიც საზოგადოებისათვის მტირედ ცნობილია; და უფრო კარგია, თუ სრულიად უცნობი იქმნება... თვით წასაკითხის რადენობის ურადლება არ უნდა მოქცეს... რითმას უნდა დაეთმოს სათანადო ადგილი, ხოლო კი არ უნდა დაუმოხრჩილოთ მას... უფლად შეუძლებელია კითხვის დროს შეჩერება სტრუქტურების მიხედვით და, ამით, თვით შინაარსის დარღვევა—იქნება ლექსი იგი რითმობიანი თუ ურითმობი“...

ეს რიცხვით მტირე ციტატები ძალიან ბევრ რასმეს გვასწავლის. უფელი იგივე ამის შეთვისება დაიდი დირსების მომნიჭებელია. და თუ ამის მიღწევას ვეცდებით, მაშინ ჩვენი საკრთაშორისო მოვალეობის ერთი მუსლი გადასდილ შესრულებულ იგვექნება.

მის. კიაზოშვილი.



# ჩუმი მოღვაწენი



## სცენის მოყვარე ნაპოლეონი

ჩუმი მოღვაწე, — რა საამო მისსმენია! ეს სიტყვები მაღამოსავით ეცნობა გულს, სი-ცოცხლეს გოგონებებს, გუნდებს და უფრო მეტის მხნეობით გიწვევს სამოქმედოთ რცხა გესმის ან საკუთარი თვალით ხედავ ადამიანებს, რომელთაც არ იტანება არც სიმდიდრე, არც სახელის მოხვეჭა და სრულად ძალ დაუტანებლად, ჩუმად ემსახურებიან საყვარელ სახალხო საქმეს, შენც ძალდონე გემატება და გულს სხივი გეფინება.

თუ დღევანდელ უაფრთხოებურ პირობათა გამო საზოგადოებრივი ძნეობა საზოგადოებრივი საქმის კეთებას, ეს უფრო ძნეობა სოფლით ვინც ღრმად ჩაუკიდრდება დაბასოფლის ცხოვრებას, იმას თვალწინ წარმოუდგება ერთი უშედეგო აზრობებიანი ტბა, სადაც მრავლად მოუფრიათ თავი ათასნაირ მავნე მწერებს. სოფელი — გრძობიერი ადამიანისთვის ცოცხალთა სასაფლაოა, იქ დიდი უშედეგობა გავაგრძობის გზას დასდგომია, შხამავს და ხრწნის ახალ თაობას. ერთმანეთის სამართის თხრა, გაუტანლობა, მახეზდრობა (დაბოროტების წება), ცრუმორწმუნობა, ღოთობა, არშეობა, — აი მუდმივი საქმიანობა პრეინციის ინტელიგენციისა. სამწუხაროდ მათს ფერხულში ებმებიან ისეთი პირობებიანი, რომელთაც თავსე მწვენივანე ქუდები დაუსურავთ. ამითი თავი მოაქვთ და სტუდენტობით ამუბუნ, სოფლის ჭირ-ვაწამი ვი ოდნავათაც არ აწუხებთ და თავიანთ სიციცხლეს ფუქსაგატ დახლანდარობსა და არშეობაში ატანებენ, ქმნიან ატმოსფერას,

რომლითაც ადამიანს განება ეშხამება, სული ეხუთება,

აი, ასეთ პირობებში ჩამდგარი ადამიანი, რომელიც შორსა სდგას გადაგვარებულ ინტელიგენციისაგან და მუდამ სიკეთისთვის და სახალხო საქმისთვის ზრუნავს, ერთიანად ძვირფასია.

ასეთ პირობებში მიგვახსნის ჩვენ ნაპოლეონი, სასოფლო სახალხო სცენის ერთი დაუსრულები მუშაკთაგანი.

ათი წელიწადია, რაც იგი ქართულ თეატრს ემსახურება პრეინციისში (ჟურ თელავში, ახლაველის ციხეში) და შესაფერი სიყვარულიც დაიმსახურა ხალხში, თავისი ნიჭით, მუყაითობით და სცენის უანგარო სამსახურით. მას თათქმის მუდამ ადრეცებაში მოუყვანია მუყარებელი.

სცენა მისი სული და გულია, ის ბუნებით ხელფანია, რომელსაც მუდამ სცენაზე უფრია უნდა, მაგრამ რადგანაც ამხანაგებს ვერ შოულობს, მასაც ნაკლებად უხდება სცენაზე გამოსვლა. ვერ წარმოადგენთ მის სიხარულს რცხა პირველადი ტუგით:

— ნაპოლეონ, წარმოადგენს ვაწივრებთ და და მზათ იყავით. მაშინვე სახე გაუბრწყინდება და ადრეცებით მოგასახებო:

— ზა, ჩქარა, რადან უყურებთ. ნაპოლეონის გგარი ბეგრმა არ იცის და არც თითონ ცდილობს ვისმეს დიდათ მოაწვეინოს თავი. ის ხალხის შვილია (ზინგერის აგენტია) და განსაკუთრებით ხალხური წარმოდგენების მართვა უყვარს. უსურვებთ წინ სვლას.

სოსო მაჭავარიანი

# გლენთა ნეროლევი

წერილი წინარეხიდან.

წინა დროში ჩვენს გლოვობასაც კარვად ახსოვდა ჩვენებური ხალხური ანდაზა: კაცუნდა ხერხი იყოს — ვაჭკონდეს და გამოჭკონდეს, განა კაცი ეჩო არის — სულ თავისკენ მიითლიდესო, ახლა სულ სხვა ანდაზას მისდევენ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო, და იმას-კი არ დაგიდევენ, თუ ამნაირი საქციელით სოფელი-ქვეყანას, მეზობლებს რა ნაენეობას აძლევენ!


აი, ერთი მაგალითი: ამ წინაზე გორის

მაზრის სოფელ წინა-რეხში მცხოვრებმა გლეხმა ესტატე ქეშელაშვილმა გადათხარა თამარ მეფის-მიერ გაკეთებული ნიდაგი რუსხმული, სივრცით 349 საყენი, ამის გამო ურწყავად დარჩება 27 დღესტინა სასოფლო მამული და ხალხი იზარალებს ესეც უნდა მოგახსენოთ, რომის გადათხარლი რუსხმულიც სასოფლოა, ესტატე ქეშელაშვილის ნადელის გვერდზე. ამიტომაც მოინდომა ქეშელაშვილმა თავისი ნადელის გამატება სოფლის საზიანოდ. მეორე: ამავე ქეშელაშვილმა წისკვილის რუში ჩაყარა ნერგეულობა, რუ შევიწროვა, თითქმის შესწყვიტა წყალი და ოთხი თვლიდან ერთი თვალი ძლივს-ღა მუშაობს. მესამე: ამავე ქეშელაშვილმა მოშალა სოფლის რუ, სამაგეროდ დაფერდოვებულ კლდეზე გაიყვანა არხი, საცა ოდნავ გადის წყალი, ხლხი-კი სწყუხდება, მაგრამ ქეშელაშვილი ამას არ დაგიღვეს...

ქეშელაშვილმა იცის, რომ მოსამართლენი ყურწყარუბულნი არიან, ხოლო ხალხის დიდი ნაწილი-კი ბრძოლის ველზეა და იგიც, სანამ დროა, ეჩოსავით სულ თავისკენ ითლის...

ნუ თუ სოფელი ასე უპატრონა?

**გლეხი გიორგი მერაბაშვილი**



**ახალ-სენაკის** დრამატიკულმა საზოკადოებამ, რომელიც ერთი წლის წინად დაარსდა, როგორც იქნა, მოქმედება დაიწყო და ამაშიაც მადლობელი უნდა ვიყენეთ ძმ. სანიკიძეთა, რომელთაც სათეატრო დარბაზი ააგეს (თუმცა ჯერ კიდევ სასურველად მოწყობილი არ არის) და მით საშუალება მისცეს ახალ-სენაკის სცენის მოყვარეთ წარმოდგენების გამართვა ეკისრათ, აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ახ.-სენ. დრამ სახ. გაგვეობის მოქმედების უფლება უკვე დაკარგული ჰქონდა, რისთვისაც ხელახალი ნებართვის მოპოვება ეპირება, რასაც ბევრითაღ შეუდგა. გაგვეობამ სამუშაოდ მოიწვია ძველი და ახალი სცენის მოყვარენი თბილისიდან სავსატროლოდ მოიპატიო და მსახურებულნი მსახიობი ვალ. გუნია და პირველი წარმოდგენა გამართა 27 მკათათვეს (წარმოდგინეს ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“). სამწუხაროდ წერილობრივად დასობამ აქაც იჩინა თავი: ზოგიერთი ვაუბატონი ცდილობდა

და ხელი შეეშალა ვ. გუნიას მოწვევისთვის—როგორც პოლიტიკურ არა თანამაზრისთვის, მაგრამ საბედნიეროდ საზოგადოება ამთ განგაშს არ აწყვა, წარმოდგენას მრავლად დაესწრო და ამ კუთხის შვილი—დამსახურებულ მსახიობ-სტუმარს ზეიმი გაუმართა. საღამო მართლაც სადღესასწაულო იყო: მსახიობს თავი გულეზით და ვაშათი შეეგბნენ. წარმოდგენი: შემდეგ ნადიმი გაიმართა, რასაც დასვლებიც დაესწრენ: აქ ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა. ნად მიმეორე დილაშვე გაგრძელდა, დილით ვ. გუნია სიმღერა-ტანით ბინამდე მიაცილეს. აქ მსახიობმა აღუთქვა მუდამ მზად ვიქნები სამსახური გაგიწიოთა.

წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა და ვ. გუნია-მიერ არჩილის რლის შესრულებამ ხომ მთლად მოაჯადოვა დამსწრენი. ხალხი, ვიმეორებთ, მრავალი დაესწრო და ბევრი უბილეთობის გამო უკუ მიიქცა.

სულით და გულით გუსურვებთ, ახლ-სენაკის იაცენს მოღვაწეთ, ხლოვნების ფარგლებში შენ-ჩემობა დასობანობა უკუ ეგდოთ და შეთანხმებით ემუშავსოთ თვისდა სასახლოდ—ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდ.

**ლაერტი**

**ხონის თეატრში** 28 მკათათვეს მსახიობ მ. მდივანის საბენეფისოდ წამოდგინეს „ქრისტიანე“—ირეთელისა. წარმოდგენამ საუცხოვოთ ჩაიარა, განსაკუთრებით კარგად ჩატარეს თავიანთი როლები მ. მდივანმა (ქრისტიანე) და ლოლბეჩიძემ. სცენის მოყვარეთგან კარგად ასურათებდნ მ. წიგწივაძე და ლ. ჰანტურიშვილი. ხალხი ბევრი დაესწრო.

30 მკათათვეს ვ. ურუშაძემ გამართა წარმოდგენა. წამოდგინილ იქმნა მისივე „ძუნწი“: პიესამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით კარგი იყო ვასო ურუშაძემ გურული სცენების წაკითხვით ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება. 31 მკათათვეს წარმოდგინეს „მეზობლები“: წვიმის გამო ხალხი ცოტა დაესწრო. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა.

**გ. ხონელი.**

**დ. სურამში** სამშაბათს, 2 მარიაშობისთვის ადგილობრივ საკრებულოს ბაღში მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა ხაშურის სცენ. მოყვ. დახმარებით გამართა წარმოდგენა 3 განყ. 1 „უშუტიანაძე“ (1 მოქმ.), 2—„სოფლის ფერშალი“, თავუნასი და 3—დივერტისმენტო.

საღამოს ხალხი ბლომით დაესწრო 3 მარიაშობისთვის ამავე ბაღში გაიმართა „სალიტერატურა საღამო“. ბელეტრისტმა ი. ნიკოლაიშვილმა წაიკითხა მოთხრობა „ტუფლები“, რამაც საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა: ჩვენმა მსახიობებმა: ნ. დავითაშვილმა, ე. ანდრონიკაშვილმა და შ. დალიანმა წაიკითხეს ი. ჰეგევიძის, ჯორჯიკიასი და სხვათა ლექსები და მოთხრობები. საღამოში, როგორც გამომცხადებელი იყო, მონაწილეობა უნდა მიეღო ცნობილ იუმორისტს ბნ. თაფუნას, მაგრამ ის არ გამოსულა. მის მაგივრად საღამოში მონაწილეობა მიიღეს მგოსანმა ნ. ჩხიკვაძემ და დრამატურგმა პ. ირე-

